

შემთხვევათა ანალიზი

სუიციდი

ფაქტობრივი გარემოება

ერთ-ერთმა ონაღინ გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სოფელში 15 წლის გოგომ თავი მოიკლა.

მასალაში გარდაცვლილის სახელი და გვარი ინიციალებით იყო ნახსენები - მ.დ., თუმცა მითითებული იყო ქალაქი და აღნიშნული იყო, რომ გოგო ძიუდოს მოჭიდავე გახლდათ, ნახსენებია მისი წარმატებაც. მასალა ეყრდნობოდა მხოლოდ მეზობლების კომენტარებს. მათი თქმით, გარდაცვლილის დედა სხვა კაცზე გათხოვდა, მანამდე თურქეთში ხშირად დადიოდა. მამა სხვა სოფელში ცხოვრობს (დასახელებულია სოფელი), ბავშვები უდედმამოდ გაიზარდნენ, მმა სამართალდამცავებმა ქურდობის ფაქტზე დააკავეს. სუიციდი ფაქტი ბოტანიკურ ბაღში მოხდა, რომლის მცველი გარდაცვლილის მეგობრებზე დაყრდნობით ამბობს, რომ მ.დ.-ს სუიციდის მცდელობა ადრეც ჰქონდა.

მასალას ერთვის მწვრთნელის კომენტარი, რომელიც გარდაცვლილს „დადებითად ახასიათებს“. იქვე აღნიშნავს, რომ მისი ინფორმაციით მ.დ. რამდენიმე თვის წინ გათხოვდა, თუმცა „არ გაუმართლა“.

მასალაში აღწერილი იყო თვითმკვლელობის მეთოდი თუ რა მდგომარეობაში იპოვეს მ.დ. - გამოყენებული იყო კიმონოს ქამარი.

სახელმძღვანელო დოკუმენტები

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია „სუიციდის გაშუქება“

ცალკეული შემთხვევების ზედაპირულმა გაშუქებამ შეიძლება გამოიწვიოს თვითმკვლელობის ახალი შემთხვევები და პირიქით, ფრთხილმა, კვალიფიციურმა გაშუქებამ შესაძლოა ეს რიცხვი შეამციროს.

სუიციდის სპეციალისტთა ასოციაციის რეკომენდაციები ჟურნალისტებს:

ხშირ შემთხვევაში, სუიციდი კომპლექსურ პრობლემას უკავშირდება. შეეცადეთ, გაშუქებისას მის გამომწვევ მიზეზად არ დაასახელოთ მხოლოდ ერთი ფაქტორი

სადისკუსიო კითხვები:

- სწორად მოიქცა თუ არა რედაქცია, როდესაც შემთხვევა გააშუქა?
- რატომ უნდა გაშუქებულიყო ეს კონკრეტული ამბავი?
- არსებობს რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი ამ შემთხვევის მიმართ?
- საჭირო იყო გარდაცვლილის სახელისა და გვარის დაფარვა?
- შესაძლებელია თუ არა ადამიანის ამოცნობა როდესაც ასახელებ მის პროფესიას, მიღწევებს, მამის საცხოვრებელ ადგილს?
- ვის მიადგებოდა ზიანი გარდაცვლილის ვინაობის გამხელით?
- რა დამატებით ინფორმაციას აძლევს მკითხველს ისეთი დეტალები, როგორიცაა დედის პირადი ცხოვრება, მამისა და ძმის კონფლიქტი კანონთან?
- რა დამატებით ინფორმაციას აძლევს მკითხველს გარდაცვლილის პროფესია და ბოლოს მიღწეული წარმატება, ასევე მწვრთნელის მიერ „დადებით პიროვნებად“ დახასიათება?
- რამდენად რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით ვრცელდება გარდაცვლილის შესახებ ინფორმაცია?
- მოყვანილი დეტალებით ხომ არ არის მცდელობა იმისა, რომ სუიციდი მძიმე სოციალურ პირობებს დაუკავშირონ?
- შესაძლებელია მძიმე პირობები ყოფილიყო ერთადერთი მიზეზი?
- ვიცნობთ გარდაცვლილს ისე კარგად რომ სუიციდის მიზეზზე ვისაუბროთ?
- გამორიცხავთ, რომ შესაძლოა სხვა უფრო კომპლექსური მიზეზი ყოფილიყოს საფუძველი? მაგალითად დეპრესია?
- რამდენად საჭირო იყო დეტალების აღწერა თუ რა მდგომარეობაში ნახეს გარდაცვლილი, როგორ მოიკლა თავი, რა გამოიყენა ამისათვის?
- გარდაცვალების მეთოდების აღწერით და ამბის მხოლოდ დეტალების თხრობით ხომ არ ვავრცელებთ ფარულ მესიჯს, რომ „მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები არასრულწლოვნისთვის სუიციდი გამოსავალია“?
- რამდენად ვფიქრობთ გარდაცვლილის ახლობლებზე? მათზე, ვისაც, ფაქტობრივად, ბრალდება არასრულწლოვანის სუიციდამდე მიყვანა?
- მოთხრობილ ამბავში რამდენად მნიშვნელოვანია ის დეტალი, რომლის მიხედვითაც, გარდაცვლილს სუიციდის მცდელობა ადრეც ჰქონდა?
- შეიძლებოდა თუ ამ დეტალის განვრცობა და ფოკუსის გადატანა იმაზე, თუ როგორ შეიძლება ქვეყანაში არასრულწლოვანთა სუიციდის პრევენცია?
- რა უფრო არის საზოგადოებრივი ინტერესი, ერთი კონკრეტული ამბის გასაჯაროება თუ ამ ამბის საფუძველზე სუიციდის პრევენციაზე საუბარი? ვიცით კი საერთოდ არსებობს თუ არა სუიციდის პრევენციის რაიმე პროგრამა?
- ზემოთ დასმული კითხვებიდან გამომდინარე, მივუბრუნდეთ პირველ კითხვას - უნდა გაშუქებულიყო თუ არა ეს შემთხვევა? როგორ?